ა ლიგა

ყოველდღიური

ა ლიგა

თავი I. ზოგადი დებულებები
მუხლი 1. ა-ლიგის ჩატარების უფლება

ა-ლიგის ჩემპიონატის (შემდგომში “ტურნირი”) ჩატარების ექსკლუზიურ უფლებას ფლობს საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია (შემდგომში “ს.კ.ე.ფ”).

მუხლი 2. ტურნირის ჩატარების წესები

ტურნირი ტარდება „კალათბურთის ოფიციალური წესების” და წინამდებარე დებულების შესაბამისად.
ტურნირის ყველა მონაწილე ვალდებულია, გაეცნოს და შეასრულოს „კალათბურთის ოფიციალური წესების” და წინამდებარე დებულების მოთხოვნები.

მუხლი 3. ტურნირის ორგანიზების და ჩატარების ხელმძღვანელობა

ტურნირს ორგანიზებას და ჩატარებას ხელმძღვანელობს “ს.კ.ე.ფ.” საშეჯიბრო დეპარტამენტის მეშვეობით.

თავი II. ტურნირის ჩატარების მიზნები

მუხლი 4. ტურნირის ჩატარების მიზნები

-გუნდების კლასიფიკაცია;
-საქართველოს ეროვნული ჩემპიონატში (სუპერლიგაში) გადასასვლელად საუკეთესო გუნდის გამოვლენა;
-ტურნირში მონაწილე მოთამაშეების ოსტატობის დონის ამაღლება;
-საქართველოში კალათბურთის შემდგომი განვითარება.

თავი III. გუნდებისა და მოთამაშეთა დაშვება ჩემპიონატში
მუხლი 5. გუნდების დაშვების პირობები
5.1 ა-ლიგის გუნდები დაიშვებიან ტურნირზე (2024/2025 წლების სეზონის) შედეგების გათვალისწინებით, სულ 6 (ექვსი) გუნდი ასევე წინამდებარე დებულების მოთხოვნების შესრულების პირობით, საშეჯიბრო დეპარტამენტის ან/და ს.კ.ე.ფ-ს გამგეობის გადაწყვეტილებით.
5.2 ტურნირში საასპარეზოდ გუნდი ვალდებულია, შემოიტანოს სამონაწილეო თახა 8000 (რვაათასი) ლარი 2026 წლის 15 თებერვლამდე. გადაუხდელობის შემთხვევაში, გუნდს დაეკისრება ჯარიმა - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.
5.3 ტურნირის მონაწილე გუნდები ვალდებულნი არიან 2025/2026 წლების სეზონის განაცხადი, წარმოადგინონ ელექტრონული ფორმით 2025 წლის 28 დეკემბრის 23:59 საათამდე. საკვალიფიკაციოში მონაწილე გუნდების და ა-ლიგის 2024-2025 წლების სეზონის მე-5 ადგილოსანი გუნდის განაცხადის ბოლო ვადაა 30 ნოემბერის 23:59 საათამდე. ტურნირის განაცხადში ჩაწერილ მოთამაშეთა მაქსიმალური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 16(თექვსმეტი)-ს, ხოლო მოთამაშეების მინიმალური რაოდენობა არ უნდა იყოს 10 (ათზე) ნაკლები. ასევე მთავარი მწვრთნელი, დამხმარე მწვრთნელი არაუმეტეს 3(სამი) პირისა და სამედიცინო პერსონალი არაუმეტეს 3 (სამი) პირისა.
5.4 გუნდს 16 (თექვსმეტი) კაციან განაცხადში შეუძლია შეიყვანოს სუპერლიგის (2025-2026 სეზონის) არა უმეტეს (გათავისუფლების ფურცლის მქონე) 2 (ორი) მოთამაშე და ასევე 1 (ერთი) მოთამაშე რომელსაც მიმდინარე სეზონში სუპერლიგის გუნდში საშუალოდ ჯამში 5 წუთზე მეტი არ უთამაშია.

5.5 ა-ლიგის გუნდს ყოველი თამაშის განაცხადში შეუძლია შეიყვანოს მოთამაშეები თავისი ასაკობრივი გუნდებიდან.
5.6 თუ ა-ლიგაში მოასპარეზე გუნდის 16 (თექვსმეტ) კაციანი განაცხადი შევსებულია, გუნდს უფლება აქვს, თამაშის განაცხადში შეიყვანოს მოთამაშე თავისი ასაკობრივი გუნდიდან.
5.7 ა-ლიგის კლუბის განაცხადში შეყვანილ მისივე გუნდის მოთამაშეს უფლება აქვს ერთდროულად ითამაშოს 2 (ორ) ასაკობრივ ჩემპიონატში. ასაკობრივ ლიგაში მონაწილე კალათბურთელს უფლება აქვს თავისი ასაკობრივი კლუბის რიგებში ითამაშოს ორ ასაკობრივ ჩემპიონატში, მხოლოდ ერთი კლუბის სახელით. ა-ლიგის და ასაკობრივი კლუბების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს ორს.
5.8 გუნდს 16(თექვსმეტი) კაციან განაცხადში შეუძლია შეიყვანოს თავისივე გუნდის ან კლუბის ვერტიკალში ასაკობრივი ჩემპიონატიდან (მოქმედი) მოთამაშეები ულიმიტოდ, დამატებულ მოთამაშეები 16 კაციან განაცხადში არ იკავებენ ადგილს,
.5.9 უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე მოთამაშეებისთვის აუცილებელია შემდეგი ცნობების წარმოდგენა:
- პასპორტის ასლი, რომელზეც ნათლად ჩანს მფლობელის მოქალაქეობა, სრული სახელი და გვარი,
  დაბადების თარიღი და ადგილი, ფოტოსურათი;
- თითოეული მოთამაშისთვის შევსებული ფიბა-ს სპეციალური ფორმა ინგლისურ ენაზე და ფიბა-ს მიერ ფინანსური
  მოთხოვნების უზრუნველყოფა;
- გათავისუფლების ფურცელი იმ ქვეყნის კალათბურთის ფედერაციიდან, რომლის კლუბშიც მოთამაშე ბოლოს ასპარეზობდა.
5.10 უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე მოთამაშეების ლიცენზირებისთვის გადასახადი შეადგენს:
- მოთამაშეზე – თითოეულისთვის 1000 (ათასი) ლარი;
5.11 უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე მწვრთნელის ლიცენზირების გადასახადი შეადგენს თითოეულისათვის 800 (რვაასი) ლარი.
5.12 ტურნირზე მონაწილეობასთან დაკავშირებული ყველა ფინანსური ანგარიშსწორება
Uუნდა განხორციელდეს ს.კ.ე.ფ-ის საბანკო ანგარიშზე.
საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის რეკვიზიტები:
საფოსტო: 0162, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 49ა.
საბანკო: GE96BG0000000182449001
ბანკის კოდი: LBAGAGE22;
ს/კ: 204851838
ტელეფონი: 032 23 53 84; ; 599 21 22 11 593 95 95 73 558 786 954;
ელ. ფოსტა: geosuperleague@gbf.ge

მუხლი 6. მოთამაშეთა და მწვრთნელთა დამატება განაცხადში
6.1 ტურნირზე 16 (თექვსმეტი) კაციან გუნდების განაცხადში დაფიქსირებულ მოთამაშეთა გუნდიდან გუნდში გადასვლა ან/და 16(თექვსმეტი) კაციან განაცხადში დარჩენილ თავისუფალ ადგილას ახალი მოთამაშის დამატება ტურნირის მსვლელობისას აკრძალულია (ამ მუხლში მოყვანილი გამონაკლისი შემთხვევების გარდა).
6.2 გუნდს ასაკობრივი ჩემპიონატებიდან მატჩის განაცხადში შეუძლია შეიყვანოს 16 (თექვსმეტი) კაციან განაცხადში დარჩენილი ლიმიტის გათვალისწინებით მოთამაშეები თავისი ასაკობრივი გუნდიდან და ყოველ მომდევნო მატჩში ცვალოს ეს მოთამაშეები. კალათბურთელებს, რომლებსაც ამ პუნქტის რეგულაციების საფუძველზე გუნდი შეიყვანს განაცხადში, არ ეკარგებათ ადგილი იმ ასაკობრივ ჩემპიონატებში, სადაც არიან წარმოდგენილნი.
6.3 გუნდს არ აქვს უფლება საერთო განაცხადში შეიყვანოს სუპერლიგაში მოასპარეზე მწვრთნელები.
6.4 საკვალიფიკაციო ეტაპის გამარჯვებულ გუნდს უფლება აქვს ა-ლიგის დაწყებამდე შემადგენლობაში ჩაანაცვლოს სამი მოთამაშე და შემოიტანოს განაცხადი 2025 წლის 28 დეკემბრის 23:59 საათამდე.
6.5 ა-ლიგის მონაწილე გუნდმა განაცხადში შესაძლებელია შეიყვანოს ა-ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპიდან ა-ლიგაში ვერგასული გუნდის 2 (ორი) ქართველი და 1 (ერთი) უცხოელი მოთამაშე, რომელსაც ექნებაგათავისუფლების ფურცელი.

6.6 გუნდს აქვს უფლება მეორე წრის დაწყებამდე შეცვალოს 1(ერთი) უცხოელი მოთამაშე (ლეგიონერი) მხოლოდ სხვა უცხოელი მოთამაშით. (მეორე წრის დაწყებამდე გუნდს შეუძლია მაქსიმუმ ერთი უცხოელი მოთამაშის შეცვლა ან დამატება. თუ გუნდს განაცხადში ყავს 4 უცხოელი მოთამაშე შუძლია ერთი მოთამაშის ჩანაცვლება. თუ ოთხ მოთამაშეზე ნაკლები ყავს შეუძლია მაქსიმუმ ერთის დამატება.
6.7 სტუდენტური ლიგიდან ა-ლიგაში მოთამაშის დამატების ან რაიმე სახის ტრანსფერის მსურველებმა უნდა იხელმძღვანელონ სტუდენტური ლიგის დებულებით.
6.8 სუპერლიგის მონაწილე გუნდმა განაცხადში შესაძლებელია შეიყვანოს ა-ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპიდან ა-ლიგაში ვერგასული გუნდის 2 (ორი) მოთამაშე, რომელსაც ექნება გათავისუფლების ფურცელი. ის მოთამაშე რომელმაც ა-ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი ითამაშა სუპერლიგის გუნდიდან გადასვლის შემდეგ , თავის ყოფილ სუპერლიგის გუნდში ვერ დაბრუნდება. 6.9 გუნდს 16(თექვსმეტი) კაციან განაცხადში შეუძლია შეიყვანოს სუპერლიგის (2025-2026 სეზონის) არა უმეტეს (გათავისუფლების ფურცლის მქონე) 2 (ორი) მოთამაშე და ასევე 1 (ერთი) მოთამაშე რომელსაც მიმდინარე სეზონში სუპერლიგის გუნდში საშუალოდ ჯამში 5 წუთზე მეტი არ უთამაშია.
მუხლი 7. გუნდის შემადგენლობა
7.1 გუნდს თამაშის განაცხადში შეუძლია შეიყვანოს და მატჩზე წარადგინოს გუნდის განაცხადში მითი¬თებული 12(თორმეტი) მოთამაშე, არანაკლებ 10 (ათი) მოთამაშისა. ამ პუნქტის დამრღვევს ეკისრება ჯარიმა 100 (ასი) ლარის ოდენობით 10(ათი)-ზე ნაკლებ თითოეულ მოთამაშისთვის.
7.1.1 გუნდს (16 კაციანი) განაცხადში შეუძლია ჰყავდეს მაქსიმუმ 4 (ოთხი) უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე მოთამაშე. იმ შემთხვევაში, თუ გუნდს უკვე ჰყავს 4 ლეგიონერი და 16-კაციანი განაცხადის ფარგლებში სურს ერთის ჩანაცვლება, ს.კ.ე.ფ-ს უნდა მიმართოს წერილობით, რომელ ლეგიონერს უშვებს გუნდიდან და ამავდროულად გასცეს აღნიშნულ მოთამაშეზე გათავისუფლების ფურცელი.
7.1.1.2 მატჩის მსვლელობისას გუნდს მოედანზე შეიძლება ერთდროულად ჰყავდეს 3 (სამი) უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე მოთამაშე.
7.1.1.3 მოთამაშე, რომელსაც ნატურალიზაციის გზით აქვს მიღებული საქართველოს ორმაგი მოქალაქეობა და არ უთამაშია საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ჩაითვლება ლეგიონერის (უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე) სტატუსის მატარებლად.
7.1.1.4 უცხო ქვეყნის მოქალაქე, ეროვნებით ქართველი, რომელიც მინიმუმ სამი (3) სეზონი თამაშობს სუპერლიგაში ან ა-ლიგაში ლეგიონერის სტატუსის მატარებლად არ ჩაითვლება.
7.2 თითოეულ გუნდს უნდა ჰქონდეს სათამაშო ფორმის მინიმუმ ორი კომპლექტი, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მიერ მიღებულ ,,სათამაშო ფორმის სტანდარტის" მოთხოვნებს. ერთი კომ პლექტი – ღია ფერის და მეორე კომპლექტი – მუქი ფერის. მაისურებზე დასაშვებია ნომრები 00, 0-დან 99-მდე, ხოლო გვარი ქართული შრიფტით (უცხო ენაზე – "ს.კ.ე.ფ"-თან შეთანხმების შემთხვევაში). სათამაშო ფორმის სტანდარტი: იხილეთ დანართი #1.

თითოეულ გუნდს უნდა ჰქონდეს სათამაშო ფორმის მინიმუმ ორი კომპლექტი, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მიერ მიღებულ „სათამაშო ფორმის სტანდარტის" მოთხოვნებს. (სათამაშო ფორმის სტანდარტი: იხილეთ მუხლში 71 და დანართი #1). გუნდი რომელიც ა-ლიგის და საქართველოს თასის შეხვედრებზე გამოვა სავარჯიშო ფორმებით (რევერსებით) და არ ექნება სათამაშო ფორმა (სტანდარტების შესაბამისად) დაჯარიმდება 2 500 (ორი ათას ხუთასი) ლარით. ამასთან, მატჩის მთავარი მსაჯი უფლებამოსილია ასეთი გუნდი არ დაუშვას თამაშზე ან/და არ დაიწყოს თამაში. ასეთ შემთხვევაში ვალდებულების დამრღვევ გუნდს აღნიშნული თამაში ჩაეთვლება წაგებად „უფლების ჩამორთმევით" (რაც ნიშნავს იმას, რომ გუნდი ვერ მიიღებს წაგებისათვის განკუთვნილ 1 (ერთ) ქულასაც კი და ჩაეთვლება წაგება 20:0).

7.3 იმ შემთხვევაში, თუკი თამაშში მონაწილეობას მიიღებს მოთამაშე ან მწვრთნელი, რომელსაც უნდა გამოეტოვებინა იგი დისკვალიფიკაციის გამო, გუნდს ეთვლება წაგება ,,უფლების ჩამორთმევით".
7.4 იმ შემთხვევაში, თუ მატჩის მსვლელობისას სათადარიგოთა სკამზე სხედან გუნდის წარმომადგენლები (მწვრთნელის ასისტენტები, სამედიცინო პერსონალი), რომელთაც უნდა გამოეტოვებინათ იგი დისკვალიფიკაციის გამო ან პირები, რომლებსაც არ აქვთ სათადარიგოთა სკამზე ჯდომის უფლება, გუნდი ჯარიმდება 400 (ოთხასი) ლარით.
7.5 თამაშის დროს, სათადარიგოთა სკამზე მყოფი მწვრთნელები, სამედიცინო პერსონალი და გუნდის სხვა წარმომადგენლები უნდა იყვნენ ოფიციალური, ან კლუბის ბრენდირებული ეკიპირებით ჩაცმულნი.

თავი IV. ტურნირის ჩატარების სამართლებრივი ასპექტები

მუხლი 8. “საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის” უფლებები
ტურნირის მატჩებში მონაწილე გუნდებმა უნდა აღიარონ ს.კ.ე.ფ-ის შემდეგი უფლებები:
8.1 ტურნირის მატჩების ტელეტრანსლაციებზე.
8.2 საავტორო, მარკეტინგული და სალიცენზიო უფლებები ა-ლიგის ლოგოზე, სიმბოლიკაზე, ოფიციალურ დევიზსა და დასახელებაზე, სავაჭრო ნიშნებსა და სავაჭრო მარკებზე.
8.3 ს.კ.ე.ფ-ის მიერ დამზადებულ პოლიგრაფიულ, სუვენირულ, თუ სხვა სახის პროდუქციაზე განთავსებულ რეკლამაზე.
8.4 ტელე, ვიდეო და ფოტომასალის გამოყენებაზე, რომლებიც ასახავს ა-ლიგის მატჩებს, ერთიანად თუ ცალ-ცალკე, მოთამაშეთა გამოსახულების ჩათვლით.
8.5 ს.კ.ე.ფ-ის უფლებას, შეხედულებისამებრ, ჩართოს ა-ლიგის კლუბების მოთამაშეები, მწვრთნელები და გუნდის სხვა წარმომადგენლები მისი და მისი სპონსორების მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ სხვადასხვა აქტივობებში (მაგ: ვიდეო კონტენტი, საპრომოუშენო აქტივობები და ა.შ.)

შენიშვნა: თუ კალათბურთის ეროვნული ფედერაციისა და ა-ლიგის კლუბების/გუნდების სპონსორი კომპანიების საქმიანობის სფერო იქნება იდენტური და გამოიწვევს ინტერესთა კონფლიქტს სათამაშო მოედანზე, მოედნის პერიმეტრსა და დარბაზის სხვა ბრენდირებისას უპირატესობა მიენიჭება საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციეს სპონსორ კომპანიას.

მუხლი 9. გუნდის უფლებები
ტურნირის მსვლელობისას თითოეულ გუნდს უფლება აქვს:
9.1 საშინაო მატჩები ჩაატაროს საკუთარ სპორტულ დარბაზში (თუ გუნდს ასეთი გააჩნია, დარბაზი აკმაყოფილებს “კალათბურთის ოფიციალურ წესებში” აღნიშნულ მოთხოვნებს და დამტკიცებულია ს.კ.ე.ფ-ს სპეციალური კომისიის მიერ).
9.2 აწარმოოს თამაშების სატელევიზიო ტრანსლაციები ადგილობრივ ტელეარხებზე, კლუბსა და ს.კ.ე.ფ-ს შორის საგანგებოდ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.
9.3 საშინაო მატჩებზე მოახდინოს ბილეთების რეალიზაცია.
9.4 დამოუკიდებლად განკარგოს სახსრები, რომლებსაც მიიღებს საშინაო მატჩების დროს საკუთარი უფლებების რეალიზაციით.
9.5 სათამაშო მოედნის პერიმეტრსა და სათამაშო იატაკის სარეკლამო ადგილების გამოყენების უფლებების შესახებ იხილეთ დანართი #2 –
9.6 მასპინძელი გუნდი ვალდებულია გამოუყოს სტუმარ გუნდს ტევადობის 15% თითოეულ მატჩზე იმ სპორტულ ნაგებობაში, სადაც მიმდინარეობს ჩემპიონატის (ა-ლიგის) თასის, საკვალიფიკაციო ეტაპის და ფლეი ოფი/ ფლეი აუტის საკალათბურთო შეჯიბრებების მატჩები. არ შესრულების შემთხვევაში ჯარიმა 500 ლარი.

მუხლი 10. გუნდის ვალდებულებები
ტურნირის მატჩების ჩატარებისას თითოეული გუნდი ვალდებულია შეასრულოს შემდეგი პირობები:
10.1 ხელშეკრულებების და შეთანხმებების გაფორმებისას აცნობოს სპონსორებს მათზე გადაცემული უფლებამოსილებების მოცულობა.
10.2 სპონსორებთან ხელშეკრულების გაფორმებისას, აცნობოს მათ არსებულ შეზღუდვებზე.
10.3 უზრუნველყოს გუნდის მონაწილეობა საქართველოს თასის გათამაშებაში. არ გამოსვლის შემთხვევაში ჯარიმა 1500 ლარი
10.4 გამოუყოს “ს.კ.ე.ფ”-იას 30 ადგილი თითოეულ მატჩზე იმ სპორტულ ნაგებობაში, სადაც მიმდინარეობს ჩემპიონატის, ევროპის თასების და სხვა საკალათბურთო შეჯიბრებების მატჩები.
10.5 წარადგინოს “ს.კ.ე.ფ”-ში გუნდის ოფიციალურად რეგისტრირებული სიმბოლიკა.
10.6 წარმოადგინოს მოთამაშეებთან გაფორმებული ხელშეკრულების (კონტრაქტების) ასლები.
10.7 ს.კ.ე.ფ-ის შეტყობინებისთანავე უზრუნველყოს მწვრთნელთა და მოთამაშეთა აუცილებელი დასწრება ა-ლიგის მატჩისწინა და მატჩისშემდგომ პრეს-კონფერენციებზე.
10.8 უზრუნველყოს მწვრთნელთა და მოთამაშეთა მიერ ინტერვიუს მიცემა ა-ლიგის მატჩების ტელეტრანსლაციების მიმდინარეობისას.
10.9 10.4 10.7 და 10.8 პუნქტების არშესრულების შემთხვევაში – ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარი.

10.9 10.4 10.7 და 10.8 პუნქტების არშესრულების შემთხვევაში – ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარი.
10.10 მოთამაშეს, რომელსაც მატჩისწინა მოთელვაზე და გუნდის წარდგენაზე არ ეცმევა გუნდის სათანადო ფორმა, თამაშზე არ დაიშვება.
10.11 სეზონის დაწყებამდე (პირველი ოფიციალური მატჩის ჩატარებამდე), კლუბი ვალდებულია სპორტსმენს ჩაუტაროს ფუნქციური სამედიცინო შემოწმება და ს.კ.ე.ფ–ის სამედიცინო დეპარტამენტში წარმოადგინოს შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაცია. კვლევები უნდა ჩატარდეს განაცხადში მყოფ ნებისმიერ მოთამაშეზე, მათ შორის იმ მოთამაშეებზეც, რომლებსაც კლუბი დაიმატებს სეზონის მსვლელობისას. ასევე, იმ მოთამაშეებზე, რომლებმაც ასაკობრივ ან ეროვნულ ნაკრებში გაიარეს შემოწმება.
ფუნქციური სამედიცინო შემოწმების აუცილებელი მინიმალური კრიტერიუმები:
1. ეკგ
2. კარდიო ექოსკოპია
3. მუცლის ღრუს და საშარდე გზების ექოსკოპია
4. დატვირთვის ტესტი ტრედმილზე
5. ანამნეზიდან გამომდინარე დამატებითი კვლევები, თუ კლუბის ექიმი ჩათვლის საჭიროდ.
6. სისხლის საერთო ანალიზი
10.12 თითოეული კლუბი და კლუბის ექიმი ვალდებულია სპორტსმენს დაუგეგმოს გამოკვლევები, განიხილოს თითოეული მოთამაშის ჯანმრთელობის მდგომარეობა და იყოს პასუხისმგებელი მათ ჯანმრთელობაზე. კლუბმა შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს ს.კ.ე.ფ–ის სამედიცინო დეპარტამენტში არაუგვიანეს ა-ლიგის პირველი თამაშის წინა დღეს.
10.13 იმ შემთხვევაში თუ ა-ლიგის პირველი ტურამდე კლუბის მიერ არ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია, კლუბი ერთჯერადად დაჯარიმდება 3000 ლარით და ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დამატებით დაეკისრება პირგასამტეხლო 200 ლარის ოდენობით. ამასთან, მოთამაშეს არ მიეცემა თამაშის საშუალება სუპერლიგის და თასის შეხვედრებში, მანამ სანამ კლუბის მიერ არ იქნება წარმოდგენილი აღნიშნული მოთამაშისათვის ჩატარებული ფუნქციური სამედიცინო შემოწმების დამადასტურებელი შესაბამის დოკუმენტაცია.

თავი V. მოთხოვნები კლუბის (გუნდის) მიმართ

მუხლი 11. მოედანი და აღჭურვილობა
11.1 სპორტული ნაგებობები და აღჭურვილობა უნდა შეესაბამებოდეს „კალათბურთის ოფიციალურ წესებში" აღწერილ მოთხოვნებს.
11.2 ტურნირის მატჩები გაიმართება "ს.კ.ე.ფ"-ის საგანგებო კომისიის მიერ მიღებულ სპორტულ დარბაზებში. დარბაზის ტევადობა – მინიმუმ 150 (სასორმოცდაათიი) დასაჯდომი ადგილი.
11.3 ა- ლიგის მატჩები ჩატარდება „Molten"-ის ფირმის „Molten 4550" (სიზე 7) მოდელის ბურთებით. სხვა მოდელის და ფირმის ბურთების წარმოდგენის შემთხვევაში, მატჩის მთავარი მსაჯი უფლებამოსილია არ დაიწყოს თამაში და მოითხოვოს ბურთის გამოცვლა. ამასთან, მასპინძელ გუნდს დაეკისრება ჯარიმა 100 (ასი) ლარის ოდენობით, თითოეული დარღვევისათვის.
11.4 თამაშის მსვლელობისას მუსიკალური ინსტრუმენტების გამოყენება ნებადართულია მხოლოდ მსაჯთა მაგიდის და გუნდების სკამების მოპირდაპირე მხარეს მდებარე ტრიბუნაზე.
11.5 საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია კომპანიების – ჯენიუს სპორტ-ისა და სინერჯის -ის ტექნიკური მხარდაჭერით უზრუნველყოფს ყველა მატჩის ვიდეოგადაღებას და მათ ტრანსლირებას ლაივ-რეჟიმში. რეგიონებში, მასპინძელი (თბილისში თუ საკუთარი დარბაზში თამაშობს) გუნდი ვალდებულია, უზრუნველყოს აღნიშნული კომპანიის (Gენიუს შპორტს) დამონტაჟებული აპარატურის უსაფრთხოება და მათი ჩართვა-გამორთვა თამაშის დღეს წინააღმდეგ შემთხვევაში დაჯარიმდება 500 ლარით.. იმ შემთხვევაში, თუ სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ხერხდება აღნიშნული აპარატურით მატჩის გადაღება, მასპინძელმა გუნდმა უნდა უზრუნველყოს ვიდეოგადაღება,
.

11.6 კლუბი ვალდებულია, მსაჯ-მდივნების მაგიდა აღჭურვოს შემდეგი ინვენტარით:
- სტატისტიკის პროგრამის მუშაობისთვის ერთი კომპიუტერი და ერთი პრინტერი.
- მსაჯთა მაგიდის და კომპანია Genius სპორტს-ის ტექნიკური ინვენტარი უნდა იყოს უზრუნველყოფილი მაღალი
სიჩქარის ინტერნეტით. აღნიშნული მოთხოვნის ვერ შესრულებისთვის ჯარიმა 500 ლარი.
შენიშვნა: თუ გუნდის/კლუბის საშინაო დარბაზში არ იქნება დამონტაჟებული ზემოთხსენებული კომპანიების
ტექნიკური აღჭრვილობა, მასპინძელი გუნდი ვალდებულია, უზრუნველყოს მატჩების ვიდეო გადაღება და
დაუმონტაჟებელი მასალა მაქსიმუმ 2 დღეში მიაწოდოს მოწინააღმდეგე გუნდსა და კალათბურთის
ეროვნული ფედერაციეს საშეჯიბრო დეპარტამენტის ხელმძღვანელობას. არ შესრულების შემთხვევაში ჯარიმა 500 ლარი. 11.7 ა-ლიგის, საქართველოს თასისა, ფლეი აუტის და ფლეი ოფის შეხვედრების პირდაპირ ტრანსლირებას ახორციელებს ს.კ.ე.ფ–ის საშეჯიბრო დეპარტამენტი. იმ შემთხვევებში, თუ რეგიონებში ნებისმიერი მიზეზის გამო ვერ ხერხდება აღნიშნული ტურნირების გადაღება, მასპინძელი გუნდი ვალდებულია 1 (ერთი) კამერით უზრუნველყოს სრული მატჩის ვიდეოგადაღება და ვიდეოჩანაწერი გაუგზავნოს ს.კ.ე.ფ–ის საშეჯიბრო დეპარტამენტს. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში გუნდს დაეკისრება ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, ყოველი დარღვევისათვის.

მუხლი 12. გასვლითი შეხვედრები
მასპინძელმა გუნდმა სტუმარ გუნდს უნდა გამოუყოს:

12.1 სტუმარი გუნდის წინასწარი განაცხადის საფუძველზე, ტრანსპორტი მატჩის ჩატარების ქალაქის სადგურში ან აეროპორტში დახვედრისა და გაცილებისთვის, აგრეთვე ვარჯიშზე, მატჩზე და უკანა მიმართულებით მისაყვანად.

ტრანსპორტის ხარჯებს იხდის სტუმარი გუნდი. წინასწარი განაცხადი უნდა გაკეთდეს ჩასვლის დღემდე არანაკლებ 7 დღით ადრე. იმ შემთხვევაში, თუკი წინასწარი განაცხადი არ გაკეთდა, ან გაკეთდა დაგვიანებით, სტუმარი გუნდი ტრანსპორტის საკითხს წყვეტს დამოუკიდებლად.

12.2 სასტუმროს ნომრები, სტუმარი გუნდის წინასწარი განაცხადის საფუძველზე. სასტუმროს ხარჯებს იხდის სტუმარი გუნდი. წინასწარი განაცხადი უნდა გაკეთდეს ჩასვლის დღემდე არანაკლებ 7 დღით ადრე. იმ შემთხვევაში, თუ წინასწარი განაცხადი არ გაკეთდა, ან გაკეთდა დაგვიანებით, სტუმარი კლუბი საცხოვრებელ საკითხს წყვეტს დამოუკიდებლად.

12.3 თუ წინასწარი განაცხადი გაკეთდა დროულად, მაგრამ მასპინძელმა კლუბმა დაარღვია 12.1. და 12.2. პუნქტები, მას ეკისრება ჯარიმა 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით.

12.4 სპორტული დარბაზი ვარჯიშებისთვის (არანაკლებ ერთი საათი) თამაშის დაწყებამდე არაუგვიანეს 24 საათისა და თამაშის დღეს არაუგვიანეს 7 საათისა (არანაკლებ 45 წუთი) იმ დარბაზში სადაც იმართება თამაში.

12.5 6 (ექვსი) სათამაშო ბურთი ვარჯიშებისთვის.

12.6 სასმელი წყალი. ყოველი თამაშისთვის ერთ გუნდზე გაანგარიშებით 16 ცალი 0,5-ლიტრიანი ბოთლი.

12.7 ტურობრივი სისტემის დროს, ადგილები სათამაშო დარბაზში შეჯიბრების მონაწილეთათვის.

12.8 12.4.-12.7.პუნქტების დარღვევისთვის ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარი თითოეული პუნქტისთვის.

12,9 მასპინძელი გუნდი ვალდებულია თამაშის დასრულების შემდგომ, უზრუნველყოს მსაჯების, კომისრის და მსაჯ მდივნებისთვის კვება(საკუთარი სახსრებით. არ შესრულების შემთხვევაში მასპინძელი გუნდი დაჯარიმდება 1000 ლარით.

მასპინძელი კლუბი ვალდებულია უზრუნველყოს ორივე გუნდის მოთამაშეთა და მსაჯების გასახდელებში (გასახდელი), რომ:
– გასახდელი უნდა იყოს დასუფთავებული, იატაკი მოწმენდილი და მშრალი;
– საპირფარეშოები უნდა იყოს დასუფთავებული, იატაკი მოწმენდილი და მშრალი. აღჭურვილი საპნით, ტუალეტის ქაღალდით, ხელის გასამშრალებელი ხელსახოცით და სხვა ჰიგიენის საშუალებებით;
– გასახდელები აღჭურვილი უნდა იყოს მინიმუმ 5 (ხუთი) სკამით, ტანსაცმლის საკიდებითა და ტანსაცმლის შესანახი კარადებით, რომლებიც იკეტება გასაღებით;
– ორივე გუნდის მოთამაშეებისათვის და მსაჯებისათვის სათამაშო დარბაზში არსებული გასახდელები უნდა იყოს გამოყოფილი განცალკევებით, იმავე დარბაზში გასამართი სხვა სპორტის სახეობებისაგან, რათა მოთამაშეებსა და მსაჯებს არ უხდებოდეთ სხვა სპორტსმენებისა თუ მსაჯების ლოდინი. ამასთან, მოთამაშეებისა და მსაჯების გასახდელები წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ კონდიციაში მოყვანილი უნდა იყოს არაუგვიანეს მატჩის დაწყებამდე 90 (ოთხმოცდაათი) წუთით ადრე და მოთამაშეებსა და მსაჯებს არაუგვიანეს მატჩის დაწყებამდე 90 (ოთხმოცდაათი) წუთით ადრე უნდა ჰქონდეთ საშუალება თავისუფლად და შეუფერხებლად ისარგებლონ გასახდელებით;

– ამასთან, აკრძალულია ნებისმიერი პირის (მოთამაშე, მწვრთნელი, კლუბის ოფიციალური წარმომადგენლები, მაყურებლები და სხვ.) მსაჯთა გასახდელში შესვლა თამაშის დაწყებამდე, თამაშის მიმდინარეობისას ან/და თამაშის დასრულების შემდეგ. გამონაკლისია, მხოლოდ შემთხვევა, როდესაც მსაჯები თავად ითხოვენ, რომელიმე პირის მათ გასახდელში შესვლას (გასახდელის დალაგების ან/და რაიმე სახის ინვენტარის, პროდუქციის ან/და წყლის მიწოდების მიზნით). ვერ შესრულების შემთხვევაში ჯარიმა 2500 ლარი.

მუხლი 13. ტურნირის მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნები
13.1 მასპინძელი გუნდი ვალდებულია, იმ სპორტულ ნაგებობაში, სადაც მიმდინარეობს ჩემპიონატის ა-ლიგა, სუპერლიგა, საქართველოს თასის, საქართველოს სუპერთასის და სხვა საკალათბურთო შეჯიბრებების მატჩები, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ჰყავდეს არანაკლებ 3 (სამი) და არაუმეტეს 5 (ხუთი) დაცვის თანამშრომელი, რომლებიც არიან საქართველოში რეგისტრირებული დაცვის კომპანიის თანამშრომლების. რაოდენობა მოცემულია რეკომედაციის სახით და შესაძლოა გაიზარდოს ან შემცირდეს თამაშის მნიშვნელობიდან გამომდინარე. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის ან/და მითითებულზე/მოთხოვნილზე ნაკლები დაცვის პერსონალის ყოლის შემთხვევაში, მასპინძელ კლუბს დაკისრება ჯარიმა 2 500 (ორი ათას) ხუთასი ლარის ოდენობით თითოეულ დარღვევის ფაქტზე ან/და მითითებულზე ნაკლებ თითოეულ დაცვის თანამშრომელზე.

13.2 თამაშის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებათა გეგმაში უნდა შედიოდეს:
13.2.1 ს.კ.ე.ფ-ის წარმომადგენლების, კომისრის, მსაჯების, მსაჯი-მდივნების, სტუმარი გუნდის წარმომადგენლების, მწვრთნელების, სამედიცინო პერსონალის, მოთამაშეების დაცვა, მათი აეროპორტში (სადგურში) ჩასვლის მომენტიდან; მათი თანხლება საცხოვრებელ და მატჩის ჩატარების ადგილებამდე.
13.2.2 ზემოაღნიშნული პირების დაცვა მატჩის დამთავრების შემდეგ, მათი თანხლება საცხოვრებელ და გასამგზავრებელ ადგილებამდე.
13.2.3 საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებების გატარება თამაშის ჩატარების ზონაში მის დაწყებამდე, მიმდინარეობისას და დამთავრების შემდეგ.
13.2.4 საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებების გატარება ს.კ.ე.ფ-ს წარმომადგენლების, კომისრის, მსაჯების, სტუმარი გუნდების მწვრთნელების, მოთამაშეების და სამედიცინო პერსონალის საცხოვრებელ ადგილზე.
13.2.5 საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებათა გატარება დარბაზში გუნდების განთავსების ადგილებში.
13.2.6 თამაშის ჩატარების ზონაში აკრძალულია:
- ალკოჰოლური სასმელების გაყიდვა და მიღება;
- ნებისმიერი სახის სასმელის გაყიდვა და შეტანა მინის ბოთლებში;
- თამბაქოს მოწევა საგანგებოდ გამოყოფილი ადგილების გარდა;
- სათამაშო მოედანზე ნებისმიერი საგნის სროლა;
- მსაჯების, მოთამაშეების და მატჩის სხვა მონაწილეთა შეურაცხყოფა, მათ მიმართ მუქარა სიტყვიერი თუ სხვა ნებისმიერი ფორმით.

ამ წესების დაცვაზე პასუხისმგებელია მასპინძელი კლუბი.

13.3 მატჩის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნათა არშესრულების შემთხვევაში, რასაც მოჰყვება ინციდენტი, ს.კ.ე.ფ-ს სტკ საგანგებო გადაწყვეტილებით, შესაძლოა გამოიტანოს როგორც საჯარიმო ფულადი სანქციები, აგრეთვე:
- მომდევნო თამაშის ჩატარება მაყურებელთა გარეშე;
- თამაშის ჩატარება ნეიტრალურ ან მეტოქის მოედანზე.

მუხლი 14. წარსადგენი დოკუმენტაცია
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან)
- ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გადახდის უუნარობის საქმის წარმოება.
- ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არქონის შესახებ
- ცნობა მომსახურე ბანკიდან (ბანკებიდან). საბანკო ანგარიშზე (ანგარიშებზე) ყადაღის შესახებ
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე (მასზე რეგისტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში) საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის არსებობის შესახებ
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია

შენიშვნა: საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატის „სუპერლიგასა" და „ა"-ლიგაში მონაწილე კლუბი წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს (ა(ა)იპ). (ეს რეგულაცია არ ეხება მუნიციპალურ დაფინანსებაზე მყოფ გუნდებს)

- „სუპერლიგის" და „ა"-ლიგის გუნდებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტიდან დაფინანსდებიან მხოლოდ ის გუნდები რომლებიც წარმოადგენენ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს (ა(ა)იპ). (ეს რეგულაცია არ ეხება მუნიციპალურ დაფინანსებაზე მყოფ გუნდებს)

- ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს ჩემპიონატის „სუპერლიგის" და/ან „ა"-ლიგის მონაწილე კლუბებს არ შეიძლება ყავდეთ ერთი და იგივე დამფუძნებელი/წევრი ფიზიკური ან იურიდიული პირი
- ამ მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაცია საშეჯიბრო დეპარტამენტს წარედგინოს 2025 წლის 30 დეკემბრამდე

თავი VI. მოთხოვნები ტურნირის მონაწილეთა მიმართ

მუხლი 15. მოთამაშეები
15.1 ტურნირში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ გუნდის განაცხადში შეყვანილ მოთამაშეებს.
15.2 მოთამაშეთა მაისურებზე დასაშვებია ნომრები 00, 0-დან 99-მდე, ხოლო გვარი ქართული შრიფტით (უცხო ენაზე – "ს.კ.ე.ფ"-თან შეთანხმების შემთხვევაში).
15.3 სათამაშო ფორმა უნდა შეესაბამებოდეს „კალათბურთის ოფიციალური წესები"-ს მოთხოვნებს, მოთამაშე რომელიც არღვევს "კალათბურთის ოფიციალური წესები"-ს და 15.2 პუნქტში მოყვანილ რეგულაციებს არ დაიშვება თამაშზე და დაჯარიმდება 100 (ასი) ლარის ოდენობით.

მუხლი 16. მწვრთნელები, გუნდის წარმომადგენლები
16.1 მატჩის დაწყებამდე არაუგვიანეს 30 წუთისა, მწვრთნელებმა უნდა წარუდგინონ მატჩის კომისარს გუნდის განაცხადი, მატჩზე განაცხადის წარდგენის ვადის დარღვევის შემთხვევაში მწვრთნელს ეკისრება ჯარიმა 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.
16.2 მატჩის მსვლელობისას სათადარიგოთა სკამზე დაჯდომის უფლება აქვს თამაშის ოქმში შეყვანილ მოთა¬მა¬შეებს (თორმეტი მოთამაშე), მწვრთნელთა შტაბის არაუმეტეს 4(ოთხი) წარმომადგენელს და მედპერსონალის არაუმეტეს 3(სამი) წარმომადგენელს.

მუხლი 17. მსაჯები, კომისრები და მსაჯ-მდივნები
17.1 ტურნირის მატჩები ტარდება "ფიბა"-ს მიერ დამტკიცებული „კალათბურთის ოფიციალური წესების" და წინამდებარე დებულების შესაბამისად.
17.2 მატჩების სამსაჯოდ შეიძლება დაინიშნონ მხოლოდ ს.კ.ე.ფ-ის მსაჯთა განყოფილების მიერ, მოცემული სეზონისთვის მსაჯები და კომისრები.
17.3 თითოეულ თამაშს ემსახურება ორი (ან სამი) მსაჯი, კომისარი და მსაჯ-მდივანთა ბრიგადა.
17.4 მატჩების მიმდინარეობისას მსაჯ-მდივანთა ბრიგადა შედგება მაქსიმუმ 8 წევრისაგან:
- მდივანი;
- დროის ოპერატორი;
- 24 წამის ოპერატორი;
- ტაბლოს ოპერატორი;
- მსაჯი-ინფორმატორი;
- ორი ან სამი მდივან-სტატისტიკოსი

17.5 მატჩის დაწყებამდე არაუგვიანეს 30 წუთისა კომისარმა უნდა შეამოწმოს გუნდის სერთიფიკატი და განაცხადში შეყვანილ მოთამაშეთა, მწვრთნელთა და სამედიცინო პერსონალის ფოტოსურათების შესაბამისობა მათ ვინაობასთან. თუ კომისარი თამაშზე დაუშვებს მოთამაშეს, მწვრთნელს ან სამედიცინო პერსონალს, რომლებიც არ არან შეყვანილი გუნდის განაცხადში, მაშინ მას მიეცემა დისკვალიფიკაცია ს.კ.ე.ფ-ის მსაჯთა განყოფილების და საშეჯიბრო დეპარტამენტის მიერ დადგენილი ვადით.
17.6 მატჩის შემდეგ კომისარი ავსებს ანგარიშს დადგენილი ფორმით, უთითებს მასში დამრღვევებს, დებულების დარღვეულ მუხლებს, მსაჯ-მდივანთა მუშაობის ნაკლოვანებებს. იმავე ანგარიშში კომისარი ახასიათებს მსაჯებს და უწერს მათ შეფასებას.
დებულების დარღვევის ფაქტების დაფარვის შემთხვევაში კომისარი ჩამოშორდება ტურნირის მატჩების მომსახურებას საშეჯიბრო დეპარტამენტის მიერ დადგენილი ვადით.
17.7 თამაშის მსვლელობის დროს დარბაზში ელექტროენერგიის მიწოდება რამდენჯერმე შეწყდება და გათიშვის სერთო დრო აღემატება 40 წუთს, თამაში შეწყდება, გადაიდება მეორე დღეს და დაიწყება გადადების მომენტისთვის არსებული ანგარიშიდან და დარჩენილი დროით.
- დარბაზში ხილვადობის არ ქონის შემთხვევაში მატჩის შეწყვეტის ან გაგრძელების გადაწყვეტილებას იღებენ უფროსი მსაჯი და კომისარი;
- შეხვედრის გადადებას, თავისი ხელმოწერით კომისრის ოქმში, ადასტურებს ორივე გუნდის მწვრთნელი;
- გასვლით მატჩებში გადადებული თამაშის შემთხვევაში გუნდის დაბინავებასთან და სხვა დამატებით ხარჯებთან დაკავშირებით პასუხისმგებელია მასპინძელი გუნდი. თავი VII. ტურნირის ჩატარების სისტემა
მუხლი 18. ტურნირის ჩატარების სისტემა და დრო
ტურნირში მონაწილეობს 6 გუნდი
18.1 ჩემპიონატის დაწყების და დამთავრების დროს განსაზღვრავს "ს.კ.ე.ფ."-მის მიერ დამტკიცებული კალენდრის შესაბამისად. ტურნირი ტარდება ორ ეტაპად:
18.2 (პირველი ეტაპი) გუნდები მატჩებს ატარებენ ორ წრედ მიმოსვლით - შინ და სტუმრად, ორი წრის შედეგების მიხედვით Gგუნდების კლასიფიცირდებიან 1, 2, 3, 4, 5, 6 ადგილებზე.
- 1, 2, 3, 4 ადგილზე გასული გუნდები გაითამაშებენ 1-4 ადგილებს, ხოლო მე-5 და მე-6 ადგილებზე გასული გუნდები
ტურნირს დაასრულებენ ამ პოზიციებზე.

შენიშვნა: რეგულარულ ეტაპზე თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ურთიერთშეხვედრებს, თუ ურთიერთშეხვედრებში ნაჩვენები შედეგი თანაბარია, შემდგომ ბურთების სხვაობას.
თუ ეს მაჩვენებელიც თანაბარია, შემდგომ უპირატესობა ენიჭება ჩაგდებულ ბურთებს.

- თუ სამმა (ან მეტმა) გუნდმა დააგროვა თანაბარი რაოდენობის ქულები, ყველა ამ გუნდს შორის დაითვლება ურთიერშეხვედრები. შემდგომ ბურთების სხვაობა. შემდგომ ჩაგდებული ბურთები.

18.3 (მეორე ეტაპი):
ა-ლიგის 1-4 ადგილებზე გასული გუნდები ითამაშებენ პლეი ოფის სისტემით.
1/2 ფინალი
- დაწყვილებული გუნდები თამაშობენ პლეი ოფის სისტემით 2 (ორ) მოგებამდე.
გუნდები წყვილდებიან შემდეგნაირად:
I წყვილი: 1-4;
II წყვილი: 2-3;
პირველი მატჩი გაიმართება წყვილში პირველად მითითებული გუნდის მოედანზე, მეორე მატჩი – წყვილში მეორედ მითითებული გუნდის მოედანზე. მესამე მატჩი (თუ საჭირო გახდა) წყვილში პირველად მითითებული გუნდის მოედანზე.
- წყვილებში გამარჯვებულები გაითამაშებენ 1-2 ადგილებს, ხოლო დამარცხებულები დაასრულებენ ჩემპიონატს.
- დამარცხებული გუნდების კლასიფიკაცია მოხდება ნახევარფინალურ სერიაში ნაჩვენები შედეგების მიხედვით

წყვილებში გამარჯვებული გუნდები გაითამაშებენ 1-2 ადგილებს.
- დაწყვილებული გუნდები 1-2 ადგილისთვის თამაშობენ პლეი-ოფის სისტემით 3 (სამ) მოგებამდე, პირველი ორი მატჩი გაიმართება წყვილში პირველად მითითებული გუნდის მოედანზე, მესამე და მეოთხე მატჩები – წყვილში მეორედ მითითებული გუნდის მოედანზე. მეხუთე მატჩი (თუ საჭირო გახდა) წყვილში პირველად მითითებული გუნდის მოედანზე.
18.4 გუნდი რომელიც დაიკავებს 1 ადგილს, მოიპოვებს მომავალი, სუპერლიგის 2026-27 წლების სეზონში ასპარეზობის უფლებას.
- ა-ლიგის ტურნირში მე-2ადგილზე გასული გუნდი ითამაშებს სუპერლიგაში გადასასვლელ საპლეიოფო მატჩებს, სუპერლიგის 2025-2026 სეზონში მე-10 ადგილზე გასულ გუნდთან. საპლეიოფო სერია ჩატარდება 3 (სამ) მოგებამდე. სერიაში მოედნის უპირატესობა მიენიჭება სუპერლიგის 10-ადგილზე გასულ გუნდს.
(თამაშები გაიმართება 2026 წლის აპრილ/მაისში)
18.5 “ა” ლიგაში 3 და 4 ადგილზებზე გასული გუნდები ლიგაში ადგილს შეინარჩუნებენ მომავლი, 2026-2027 წლების სეზონისთვის.
18.6.1 “ა” ლიგის – მე-5 ადგილზე გასული გუნდი ლიგაში დასარჩენ საკვალიფიკაციო სერიას გამართავს “ა” ლიგის შესარჩევი ტურნირის მონაწილე კლუბთან რომელიც რიგითობის მიხედვით მოიპოვებს გადამწყვეტი საკვალიფიკაციო ეტაპის საგზურს.
. “ა” ლიგაში გადასასვლელი სერია ჩატარდება საპლეიოფო სისტემით. სერიაში გამარჯვებული გუნდი 2 მატჩის ჯამში გამოვლინდება. სერიის პირველი შეხვედრას, ა-ლიგის 2025-2026 წლების სეზონის მეხუთე ადგილოსანი გამართავს სტუმრად.

თუკი გუნდები სერიაში თითო მატჩს მოიგებენ, უპირატესობა ბურთების შეფარდებას მიენიჭება. სერიაში დასაშვებია მატჩის ფრედ დასრულება.
თუკი ორი მატჩის ჯამში გუნდებს ექნებათ ბურთების თანაბარი შეფარდება, დაინიშნება დამატებითი პერიოდი (პერიოდები) და სერიაში გამარჯვებულად გამოცხადდება გუნდი, რომელსაც დამატებითი პერიოდის (პერიოდების) დასრულების შემდეგ ექნება ბურთების უკეთესი შეფარდება.
18.6.2 “ა” ლიგის მე-6 ადგილზე გასული გუნდი ტოვებს ა-ლიგის გათამაშებას.
18.6.3 “ა” ლიგის 2025/2026 სეზონის ბოლო, მე-6 ადგილზე გასული გუნდის ადგილს ლიგაში დაიკავებს საკვალიფიკაციო ეტაპის საუკეთესო გუნდი.

- საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი რაუნდის თამაშები ჩატარდება ქ.თბილისში, საკვალიფიკაციო ეტაპის, მეორე რაუნდის შეხვედრები , საკვალიფიკაციოს გუნდს და ა-ლიგის მე-5 ადგილოსანთან გასამართი პლეი ოფის შეხვედრა ჩატარდება (საშინაო და გასვლითი თამაშების პრინციპით).
18.8 2025/2026 წლების სეზონის ა-ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის გათამაშების სისტემა მას შემდეგ განისაზღვრება, რაც აღნიშნული ტურნირისთვის მოხდება რეგისტრაცია და დადგინდება მონაწილე გუნდების რაოდენობა.
ჯამში გამოვლინდება.

თავი XIII. "ს.კ.ე.ფ”-ის და კლუბების (გუნდების) ხარჯები ტურნირის ჩატარებისას

მუხლი 19. “ს.კ.ე.ფ”-ის ხარჯები ჩემპიონატის ჩატარებისას

“ს.კ.ე.ფ” ანაზღაურებს:

19.1 ტურნირისთვის საჭირო თბილისის საკალათბურთო დარბაზების იჯარის ხარჯებს.

19.2 მსაჯების, კომისრის, მსაჯ-მდივანთა ბრიგადების მგზავრობის და მატჩის მომსახურების ხარჯებს.

19.3 სხვა საჭირო საორგანიზაციო ხარჯებს

მუხლი 20. კლუბის (გუნდის) ხარჯები ჩემპიონატის ჩატარებისას

კლუბი (გუნდი) ტურნირის ჩატარებისას იხდის:

20.1 გუნდის მივლინების ხარჯებს ტურნირის მატჩებზე.

20.2 სტუმარი გუნდი _ იმ ტრანსპორტის ხარჯებს, რომელიც სტუმარ გუნდს დახვდება სადგურში (აეროპორტში), მიიყვანს სასტუმროში, ვარჯიშზე, მატჩზე და უკან სასტუმროში, სადგურში (აეროპორტში).

20.3 მასპინძელი გუნდი _ იმ ტრანსპორტის ხარჯებს, რომელიც მსაჯებს, კომისარს დახვდება სადგურში (აეროპორტში), მიიყვანს სასტუმროში, სპორტულ დარბაზში და უკან სასტუმროში, სადგურში (აეროპორტში).

20.4 სტუმარი გუნდისთვის, მსაჯებისა და კომისრისთვის განკუთვნილი მინერალური წყლის ხარჯებს.

20.5 მასპინძელი გუნდი ვალდებულია აანაზღაუროს მსაჯების, კომისრის, საჭიროების შემთხვევაში მსაჯ-მდივნების 2 (ორი) დღე-ღამით სასტუმროში მიღების და 3-ჯერადი კვების ხარჯები. არ შესრულების შემთხვევაში ჯარიმა 2500 ლარი.

თავი IX. დისციპლინარული დარღვევები და სასჯელები

მუხლი 21. დისციპლინარული დარღვევები და სასჯელები
დისციპლინარული სასჯელის ზომას დებულებით დადგენილ ფარგლებში განსაზღვრავს "სადისციპლინო ტექნიკური კომისია".
გუნდის წარმომადგენლებს: მოთამაშეებს, მწვრთნელებს, მწვრთნელთა თანაშემწეებს, სამედიცინო პერსონალს და გუნდის სხვა თანმხლებ პირებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ქცევის წესების დაცვაზე მატჩამდე, მატჩის მსვლელობისას და მატჩის დამთავრების შემდეგ.წესების დარღვევისათვის დადგენილია შემდეგი სასჯელები:

21.1 ტექნიკური ჯარიმის მიღების შემთხვევაში, მოთამაშეს, ასევე მწვრთნელს ეკისრება ფულადი სანქცია 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. სეზონის განმავლობაში მე-4 ტექნიკური ჯარიმიდან ფულადი საქცია განისაზღვრება ქვემოთ ჩამოთვლილი ოდენობით და დისკვალიფიკაციით:
მე-4 ტექნიკურისთვის - 100 ლარს; მე-8 ტექნიკურისთვის - 150 ლარს; მე-12 ტექნიკურისთვის - 500 ლარს;
მე-5 ტექნიკურისთვის - 100 ლარს; მე-9 ტექნიკურისთვის - 150 ლარს; მე-13 ტექნიკურისთვის - 500 ლარს;
მე-6 ტექნიკურისთის - 100 ლარს; მე-10 ტექნიკურისთვის - 150 ლარს; მე-14 ტექნიკურისთვის - 500 ლარს;
მე-7 ტექნიკურისთვის - 100 ლარს... მე-11 ტექნიკურისთვის - 500 ლარს; მე-15 ტექნიკურისთვის - 1500 ლარს;

მე-16 ტექნიკური ჯარიმის მიღების შემთხვევაში აღნიშნული პირი დისკვალიფიცირდება 4 (ოთხი) მატჩით და დაჯარიმდება - 1500 ლარით;

მე-17 ტექნიკური ჯარიმის მიღების შემთხვევაში დისკვალიფიკაციის, ფულადი საქციების და მისი ოდენობის ათვლა მოხდება ახლიდან, ზემოთ აღნიშნული რიგითობის მიხედვით.

შენიშვნა: ფინანსური სანქცია არ ვრცელდება იმ ტექნიკურ ჯარიმებზე, რომლებსაც მოთამაშეები მიიღებენ ეგრედ წოდებული „ფეიკისთვის" (Fake).
21.2 შეურაცხყოფა სიტყვით ან ჟესტით:
21.2.1 მსაჯების, კომისრის, მსაჯ-მდივნების, მეტოქის, მაყურებლის, თანაგუნდელის მიმართ, გუნდის თანმხლები პირების ერთმანეთის მიმართ – დისკვალიფიკაცია ორ (2) თამაშამდე და ჯარიმა ექვსას (600) ლარამდე.
21.2.2 სეზონის განმავლობაში განმეორებითი დარღვევისთვის – დისკვალიფიკაცია ორიდან (2) ოთხ (4) თამაშამდე და ჯარიმა ექვსასიდან (600)-დან ათას (1000) ლარამდე.
21.2.3 სეზონის განმავლობაში მესამე მსგავსი დარღვევისთვის – დისკვალიფიკაცია ხუთიდან (5) ათ (10) თამაშამდე და ჯარიმა რვაასიდან (800)-დან ათასხუთას (1500) ლარამდე.
21.3 ფიზიკური შეურაცხყოფა:
21.3.1 "შეურაცხმყოფელი ფიზიკური კონტაქტი"

21.3.1.1 მსაჯების, კომისრის, მსაჯ-მდივნების მიმართ – დისკვალიფიკაცია ხუთ (5) მატჩამდე და ჯარიმა ათასხუთასიდან (1500) სამიათას (3000) ლარამდე.
21.3.1.2 მეტოქის, მაყურებლის, თანაგუნდელის მიმართ, გუნდის თანმხლები პირების ერთმანეთის მიმართ – დისკვალიფიკაცია ორ (2) თამაშამდე და ჯარიმა ხუთასიდან (500) ათას(1000) ლარამდე.
21.3.2 "უხეში ფიზიკური შეურაცხყოფა":
21.3.2.1 მსაჯების, კომისრის, მსაჯ-მდივნების მიმართ – დისკვალიფიკაცია ხუთიდან (5) ათ (10) მატჩამდე და ჯარიმა ათასხუთასიდან (1500) სამიათას (3000) ლარამდე

21.3.2.2 მეტოქის, მაყურებლის, თანაგუნდელის მიმართ, გუნდის თანმხლები პირების ერთმანეთის მიმართ – დისკვალიფიკაცია სამიდან (3) ხუთ (5) თამაშამდე და ჯარიმა ხუთასიდან (500) ათას (1000) ლარამდე.
21.4 მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, მოთამაშეებს, გუნდის სხვა წევრებსა და პერსონალს, ასევე დაინტერესებულ მესამე პირებს, ეკრძალებათ კომუნიკაცია მსაჯებთან და დისციპლინარული კომიტეტის წევრებთან. აღნიშნული პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, კლუბს დაეკისრება ჯარიმა ოდენობით, 1,000-დან 10,000 ლარამდე.
21.5 დისციპლინის დარღვევასთან დაკავშირებულ სადისციპლინო-ტექნიკური კომისიის სხდომაზე მიწვეულ პირს არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაეკისრება ჯარიმა ასი (100) ლარის ოდენობით.
21.6 იმ შემთხვევაში, თუ დასჯილი მწვრთნელი, ან მოთამაშე მონაწილეობენ ასევე ასაკობრივ ჩემპიონატებში, მათ დამატებით აღნიშნულ ტურნირებში დაეკისრებათ დისკვალიფიკაცია ორ (2) თამაშამდე. თუ დისკვალიფიკაციის ვადა აღემატება სეზონის ბოლომდე გათვალისწინებული კალენდარული თამაშების რაოდენობას, დარჩენილი სასჯელი გადადის მომდევნო სეზონში.
21.7 გუნდის ოფიციალური პირების (ხელმძღვანელობა, მენეჯერი) არასპორტული ქცევა:
21.7.1 მუქარა, დაშინება ან არასპორტული ქცევა მეტოქის, მაყურებლის, მსაჯების, კომისრის ან მსაჯ-მდივანთა მიმართ – ჯარიმა 2000 (ორი ათასი) ლარი.
21.7.2 სეზონის განმავლობაში იგივე დარღვევის განმეორებისათვის – ჯარიმა 3000 (სამი ათასი) ლარი
21.8 იმ შემთხვევაში, თუკი გუნდი არ გამოცხადდება ან უარს იტყვის თამაშზე ან თამაშის გაგრძელებაზე:
-პირველი დარღვევისთვის – გუნდს ჩაეთვლება წაგება „უფლების ჩამორთმევით" და ჯარიმდება 3500 (სამი ათას ხუთასი) ლარით.
-იგივე დარღვევის განმეორებისას გუნდს ეძლევა დისკვალიფიკაცია სეზონის ბოლომდე და ჯარიმდება
7000 (შვიდია თასი) ლარით
21.9 დისციპლინური დარღვევის შემთხვევები და მათ გამო გასატარებელი სასჯელები, რომლებიც არ არის
მოყვანილი 20-ე მუხლში, განიხილება ს.კ.ე.ფ-ს სტკ-ს მიერ.
21.10 განსაკუთრებულ შემთხვევაში ს.კ.ე.ფ-ს სადისციპლინო-ტექნიკური კომისია უფლებამოსილია, თავის შეხედულებისამებრ, გაზარდოს სასჯელი დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით.
21.11 გუნდის წევრებისათვის დაკისრებული, დებულებით გათვალისწინებული, ყველა სახის ჯარიმების გადახდა უნდა მოხდეს მომდენო თამაშამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში თამაშის კომისარს ეკრძალება მათი დაშვება მომდევნო თამაშზე.
21.12 ზემოხსენებული ჯარიმების არადროულად გადახდაზე მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება გუნდის (კლუბის) ხელმძღვანელობას.

21.13 მსაჯის ან თამაშში მონაწილე ნებისმიერი პირის შეურაცხყოფა: რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად, ისჯება დისკვალიფიკაციით 3-დან 5 თამაშამდე.

21.14. იგივე ქმედება ჩადენილი მაყურებლის მიერ ისჯება 5,000 ლარიანი ჯარიმით, ხოლო განმეორებით ჩადენის შემთხვევაში შემდეგი 2 (ორი) თამაშის მაყურებლის გარეშე ჩატარებით. აღნიშნულის დასადგენად გამოყენებული იქნება შეხვედრაზე მივლენილი კომისრის მიერ შედგენილი ოქმი.

შენიშვნა: წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმების გადახდაზე პასუხისმგებელია კლუბი და შესაბამისად, აღნიშნული ჯარიმების გადახდის ვალდებულება ეკისრება კლუბს.

თავი X. პროტესტი

მუხლი 22. პროტესტის შეტანის წესი
22.1 პროტესტი ს.კ.ე.ფ-ის სტკ-ს დეპარტამენტში შედის წერილობითი ფორმით და „კალათბურთის ოფიციალურ წესებში“ ჩამოყალიბებული პროცედურების დაცვით.
22.2 პროტესტის შემტანი გუნდი ვალდებულია გადაიხადოს წინასწარი თანხა (ბაჟი) 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში, კლუბს სრულად უბრუნდება ბაჟის თანხა, ხოლო დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში რჩება ს.კ.ე.ფ–ში.
22.3 გუნდის პროტესტის განხილვის პირველ ინსტანციას წარმოადგენს ს.კ.ე.ფ-ს სტკ-ს დეპარტამენტი, რომელიც ერთი თვის განმავლობაში განიხილავს პროტესტის მოთხოვნას. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ჩერდება სტკ მიღებული პირველადი გადაწყვეტილება.
22.4 თუ გუნდი არ ეთანხმება პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას, პროტესტს განიხილავს ს.კ.ე.ფ-ის გამგეობა. პროტესტის გამგეობის მიერ განხილვის შემთხვევაში ბაჟის თანხის ოდენობა იზრდება 700 (შვიდას) ლარამდე. პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში, კლუბს სრულად უბრუნდება ბაჟის თანხა, ხოლო დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში რჩება ს.კ.ე.ფ–ში.

თავი XI დაჯილდოება

მუხლი 15. გუნდების მოთამაშეების, მწვრთნელების და თანმხლები პირების დაჯილდოება
15.1. გუნდი, რომელიც ჩემპიონატში დაიკავებს პირველ ადგილს, ენიჭება საქართველოს 2025-2026 წლების სეზონის ა - ლიგის ჩემპიონის წოდება.
15.2. გუნდის მოთამაშეები, მწვრთნელი, მწვრთნელის თანაშემწე და ექიმი ჯილდოვდებიან ჩემპიონის
ოქროს მედლებით, არაუმეტეს 20 კაცისა..

თავი XII დამატებული პუნქტები

სნექი საკვები მსაჯებისთვის გასახდელში

ა-ლიგის შეხვედრებზე, მსაჯებს გასახდელში
დაახვედროთ წყალი (მინ. 1 ლიტრი თითოს), ენერგეტიკული სასმელი, ხილი
(ბანანი) ან რაიმე ტკბილეული. არ შესრულების შემთხვევაში ჯარიმა 500 ლარი

მწმინდავები
ყველა დარბაზში უნდა იყვნენ პარკეტის მწმენდავები, რომლებიც
დასხდებიან ფარის უკან და მსაჯის მოხმობის შემდეგ უმალვე შევლენ პარკეტზე
და თავისზე დამოკიდებულ მოვალეობას შეასრულებენ. პარკეტის წმენდა
მოთამაშეებს და მსაჯებს არ უნდა მოუწიოთ. არ შესრულების შემთხვევაში ჯარიმა 500 ლარი

ა-ლიგაში მონაწილე გუნდებმა განაცხადთან ერთად უნდა გამოაგზავნონ გუნდის ყველა მოთამაშის და მთავარი მწვრთნელის ფოტო, ეგრედ წოდებული Headshot, ასევე გუნდის საერთო ფოტოსურათი, რომლებსაც სუპერლიგა გამოიყენებს ბანერების დასამზადებლად და ვებ-გვერდზე. შესაბამისი კლუბის განყოფილებაში გამოსაქვეყნებლად. თუ განაცხადთან ერთად არ იქნება ფოტომასალა მოწოდებული, მისი მოწოდება შესაძლებელი იქნება შესაბამის ელ-ფოსტაზე, არაუგვიანეს 2026 წლის 10 დეკემბრს, წინააღმდეგ შემთხვევაში გუნდი დაჯარიმდება 1500 ლარით.

ა-ლიგის საკვალიფიკაციოს დებულება

გათამაშების ფორმატი
ა-ლიგის 2025-2026 წლების სეზონის საკვალიფიკაციოს პირველ ეტაპზე 6 გუნდი მიიღებს მონაწილეობას.
გუნდები გადანაწილდებიან ორ სამ გუნდიან ჯგუფში, სადაც ითამაშებენ ერთ წრედ. შეხვედრები გაიმართება თბილისი არენასა და დიღომი არენაზე.
ჯგუფის პირველ და მეორე ადგილზე გასული გუნდები გააგრძელებენ ასპარეზობას ფლეი-ოფში.

A1 - B2
B1 - A2

ჯგუფურ ეტაპზე თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ურთიერთშეხვედრებს.
სამ გუნდიან ჯგუფში თუ ყველა გუნდმა თანაბარი ქულებით დაასრულა ჯგუფი: დაითვლება მიღებული და ჩაგდებული ბურთების სხვაობა, თუ აღნიშნული მაჩვენებელი სამივე გუნდს თანაბარი აქვს მაშინ უპირატესობა ენიჭება ჩაგდებულ ბურთებს, თუ სამი გუნდიდან ორი გუნდის მიღებული და ჩაგდებული ბურთები დაემთხვა უპირატესობა ენიჭება ამ გუნდებს შორის ურთიერთშეხვედრებს.
ნახევარფინალში გუნდები ერთ მოგებამდე თამაშობენ და გამარჯვებულები გავლენ ფინალში, სადაც ასევე ერთ მოგებამდე იქნება თამაში. მოგებული პირდაპირ შევა ა-ლიგაში. ხოლო წაგებული გუნდი მეორე ეტაპზე შეხვდება 2024/25 წლების სეზონის მეხუთე ადგილოსან „სოხუმი საქართველოს“.
ა-ლიგის 2025/26 წლების რეგულარული სეზონის ბოლო გუნდი საკვალიფიკაციო ეტაპის ფინალისტის და „სოხუმი საქართველოს“ ორი შეხვედრის ჯამში ნაჩვენები შედეგის ჯამში გამოვლინდება. სერიის პირველ შეხვედრას, ა-ლიგის 2024/25 წლების სეზონის მეხუთე ადგილოსანი „სოხუმი საქართველო“ გამართავს სტუმრად.

2 მატჩის ჩატარების წესი:
- თუკი გუნდები სერიაში თითო მატჩს მოიგებენ, უპირატესობა ბურთების შეფარდებას მიენიჭება.
- სერიაში დასაშვებია მატჩის ფრედ დასრულება.
- თუკი ორი მატჩის ჯამში გუნდებს ექნებათ ბურთების თანაბარი შეფარდება, დაინიშნება დამატებითი პერიოდი
(პერიოდები) და სერიაში გამარჯვებულად გამოცხადდება გუნდი, რომელსაც დამატებითი პერიოდის (პერიოდების) დასრულების შემდეგ ექნება ბურთების უკეთესი შეფარდება.

მოთამაშეების დამატება განაცხადში
საკვალიფიკაციო ეტაპზე მონაწილე 6 კლუბი და „სოხუმი საქართველო“ ვალდებულია განაცხადი შემოიტანოს დადგენილ ვადებში.
საკვალიფიკაციოში მონაწილე გუნდების და ა-ლიგის 2024-2025 წლების სეზონის მე-5 ადგილოსანი გუნდის განაცხადის ბოლო ვადაა 30 ნოემბერის 23:59 საათამდე.
ტურნირის განაცხადში ჩაწერილ მოთამაშეთა მაქსიმალური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 16 (თექვსმეტი)-ს, ხოლო მოთამაშეების მინიმალური რაოდენობა არ უნდა იყოს 10 (ათზე) ნაკლები. ასევე მთავარი მწვრთნელი, დამხმარე მწვრთნელი არაუმეტეს 3 (სამი) პირისა და სამედიცინო პერსონალი არაუმეტეს 3 (სამი) პირისა.

გუნდს 16 (თექვსმეტი) კაციან განაცხადში შეუძლია შეიყვანოს სუპერლიგის (2025-2026 სეზონის) არა უმეტეს (განთავისუფლების ფურცლის მქონე) 2 (ორი) მოთამაშე და ასევე 1 (ერთი) მოთამაშე რომელსაც მიმდინარე სეზონში სუპერლიგის გუნდში საშუალოდ ჯამში 5 წუთზე მეტი არ უთამაშია.
ა-ლიგაში შესვლის შემდგომ თუ კლუბს სუპერლიგის მოთამაშეების ლიმიტი ამოწურული აქვს , აღარ ექნება სუპერლიგის მოთამაში დამატების უფლება.
სუპერლიგის 2025-2026 წლების სეზონის მონაწილე მოთამაშებიის დამატება ა-ლიგაში შესვლის შემდგომ იქნება აღნიშნული ლიმიტის ფარგლებში. მაგალითად: თუ 2 მოთამაშე უკვე ჰყავდა საკვალიფიკაციო ეტაპზე მხოლოდ ერთის უფლება დარჩება.

საკვალიფიკაციო ეტაპის გამარჯვებულ გუნდებს უფლება აქვთ ა-ლიგის დაწყებამდე შემადგენლობაში ჩაანაცვლონ 3 მოთამაშე და შემოიტანონ განაცხადი 2025 წლის 28 დეკემბრამდე.

სათამაშო ბურთი
ა-ლიგის და საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრები ჩატარდება „Molten“-ის ფირმის „Molten 4550” (size 7) მოდელის ბურთებით.

სნექი, საკვები მსაჯებისთვის გასახდელში
ა-ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრებზე, მსაჯებს გასახდელში უნდა დაახვედროთ წყალი (მინ. 1 ლიტრი თითოს), ენერგეტიკული სასმელი, ხილი (ბანანი) ან რაიმე ტკბილეული. არ შესრულების შემთხვევაში ჯარიმა 500 ლარი.

მწმინდავები
ყველა დარბაზში უნდა იყვნენ პარკეტის მწმენდავები, რომლებიც დასხდებიან ფარის უკან და მსაჯის მოხმობის შემდეგ უმალვე შევლენ პარკეტზე და თავისზე დამოკიდებულ მოვალეობას შეასრულებენ. პარკეტის წმენდა მოთამაშეებს და მსაჯებს არ უნდა მოუწიოთ. არ შესრულების შემთხვევაში ჯარიმა 500 ლარი

დაცვა
დაცვის თანამშრომელთა რაოდენობას, საჭიროების შემთხვევაში, „ს.კ.ე.ფ“-ის საშეჯიბრო დეპარტამენტი გადაწყვეტს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კლუბებს წინასწარ გააფრთხილებს საშეჯიბრო დეპარტამენტი.

სამონაწილეო და ლეგიონერები
გუნდი ვალდებულია, შემოიტანოს სამონაწილეო თანხა 1000 (ათასი) ლარი 2025 წლის 30 ნოემბრამდე. გადაუხდელობის შემთხვევაში, გუნდი ვერ მიიღებს მონაწილეობას ა-ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე.
უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე მოთამაშეების ლიცენზირებისთვის გადასახადი შეადგენს 1000 (ათას) ლარს თითო მოთამაშისათვის. რომლის გადახდაც უნდა მოხდეს 2025 წლის 30 ნოემბრამდე. გადაუხდელობის შემთხვევაში, აღნიშნული მოთამაშეები ვერ მიიღებენ შეხვედრაში მონაწილეობას.

საფოსტო: 0162, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 49ა.
საბანკო: GE96BG0000000182449001
ბანკის კოდი: BAGAGE22;
ს/ნ 204851838